შეთანხმების აქტი

შრომის ხელშეკრულების არსებითი პირობის ცვლილებასთან დაკავშირებით

ქ. ქუთაისი 15 მარტი 2021 წელი

1. ზოგადი დებულებანი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“ ან „დამსაქმებელი“) წარმოდგენილი მისი რექტორის **გოჩა თუთბერიძის** სახით და მეორე მხრივ დასაქმებული **თინათინ კოსტავა** პირადი № 60001045549 (შემდგომში „დასაქმებული) შემდგომში „ხელშეკრულების მხარეები“ ვდებთ შეთანხმების აქტს „ხელშეკრულების მხარეებს“ შორის არსებული შრომითი ურთიერთობის პირობების მოდიფიცირების მიზნით შემდეგზე:

2. შეთანხმების საგანი:

ხელშეკრულების მხარეებს შორის 2021 წლის 1 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის (სამუშაო დრო და დასვენების დრო) 1 პუნქტში შევიდეს ცვლილება და მე-6 მუხლს (შრომის ანაზღაურება) დაემატოს მე-8 პუნქტი და აღნიშნული ცვლილებები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. სამუშაო დრო და დასვენების დრო

3.1. სამუშაო დრო განისაზღვრება კვირაში არაუმეტეს 30 საათისა.

6. შრომის ანაზღაურება

6.8 2021 წლის 1 სექტემბრიდან დამსაქმებელი უფლებამოსილია გადახედოს დასაქმებულის სამსახურებრივ სარგოს.

ზემოთ აღნიშნული ცვლილებები ძალაში შევიდეს მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან;

შეთანხმების აქტი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ და დაერთვის მხარეთა შორის არსებულ ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

წინამდებარე აქტზე შეთანხმების დასადასტურებლად ხელშეკრულებას ხელს აწერენ:

ქუთაისის უნივერსიტეტის
რექტორი
გოჩა თუთბერიძე

დასაქმებული